წერილის ნომერი: **73-0123153359**
თარიღი: **02/06/2023**

ადრესატი: რუსუდან ჯაყელი
პირადი ნომერი: 01024056487
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, სიმონ ჩიქოვანის ქუჩა, N 18, კორპუსი 5, ბინა 21

ქალბატონო რუსუდან,

თქვენი 2023 წლის 19 მაისის განცხადების N19/01231392485-73 საფუძველზე დანართის სახით გიგზავნით სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო“-ში არსებულ მონაცემებს (2018-2023 წლების მიხედვი), კერძოდ:

- **სააგენტოში შემოსული შეტყობინებების რაოდენობა, ჩაშლილი გამოძახების ტიპად (ფასიანი და უფასო) და მიზეზად;**

სააგენტო არ აწარმოებს ცალკე სტატისტიკას გამოძახების ტიპების მიხედვით.

- რეაგირების ღონისძიებათა რაოდენობა, ჩაშლილი რეაგირების ფორმად და გამოძახების ტიპად (ფასიანი და უფასო);

დანართის სახით გიგზავნით სააგენტოს რეაგირების ღონისძიებების და ფასიანი მომსახურების შესახებ მონაცემებს .

- აგრესიული ცხოველის შესახებ შემოსული შეტყობინებებზე რეაგირების შედეგები, მათ შორის რამდენი ცხოველი დაბრუნდა ბინადრობის არეალისგან განსხვავებულ ლოკაციაზე.

გიგზავნით აგრესიული ცხოველების შესახებ შემოსული შეტყობინებების რაოდენებების საფუძველზე განხორციელებული რეაგირების რაოდენობას (2022 წლიდან) სააგენტო ცალკე არ აწარმოებს იმ ცხოველთა სტატისტიკას, რომელიც დაბრუნდა ბინადრობის არეალიდან განსხვავებულ ლოკაციაზე.

- თავშესაფარში შეყვანილი ცხოველების რაოდენობა, ჩაშლილი თავშესაფარში განთავსების მიზეზად;

დანართის სახით გიგზავნით მუნიციპალურ თავშესაფარში შეყვანილი ცხოველების შესახებ ინფორმაციას. სააგენტო არ აწარმოებს ცალკე სტატისტიკას მუნიციპალურ თავშესაფარში ცხოველის განთავსების მიზეზთან დაკავშირებით.

- ჩატარებული სტერილიზაცია/კასტრაცია და პროცედურის ლეტალობა ან სამედიცინო

გართულებები, ჩაშლილი გართულების ტიპად (როგორც უფასო, ისე ფასიან გამოძახებებზე);

დანართის სახით გიგზავნით სტერილიზაციის/კასტრაციის ოპერაციების შესახებ ინფორმაციას. სააგენტო ცალკე არ აწარმოებს ლეტალობის ან სამედიცინო

გართულებების სტატისტიკას.

- თავშესაფრიდან გაყვანის შემთხვევები (გაჩუქება, მიკედლება, ბინადრობის არეალში

დაბრუნება, პატრონს დაბრუნება).

დანართის სახით გიგზავნით მონაცემებს.

- ევთანაზიის რაოდენობა და მიზეზები;

დანართის სახით გიგზავნით ევთანაზიის რაოდენობის შესახებ მონაცემებს. ევთანაზიის მიზეზის ცალკეულ სტატისტიკას სააგენტო არ აწარმოებეს. ცხოველი ევთანაზიას ექვემდებარება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N7-28 დადგენილებით განსაზღვულ შემთხვევებში („ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“)

- თავშესაფარში სიკვდილის რაოდენობა და მიზეზები;

დანართის სახით გიგზავნით ლეტალობის სტატისტიკას. ლეტალობის მიზეზი სტატისტიკაში არ აისახება.

- თავშესაფარში საშიში დაავადებებისა და ინფექციების გავრცელების ფაქტები (რამდენ ცხოველს გადაედო და რა ტიპის დაავადება);

სააგენტო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცალკე სტატისტიკას არ იწარმოებს.

დანართი 9 ფურცელი

გიორგი კობიაშვილი

სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი